პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 თებერვალი 3 პარტი № 52 (16789) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღებში

ავამაღლოთ ზეპირი აგიტაციის როლი

ჩვენს ქვეყანაში ყველგან ხალხები მზადება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. საბჭოთა ადამიანები ისწრაფვიან სახელოვანი იუბილე ახალი მიღწევებით აღნიშნონ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შინაარსით სულ უფრო მასობრივი ხდება და ღრმავდება პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობა. ახლი ხრულეყოფენ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, წარმართავენ მათს საერთო ძალებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რისთვისაც პრესასთან, ტელევიზიასთან, რადიოსთან, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემასთან, სალექციო ბიუროებთან ერთად ფართოდ იყენებენ ზეპირი აგიტაციის სხვადასხვა ფორმებსაც. მასებში პარტიის შთამაგონებელი სიტყვა შეაჭვს აგიტატორთა, პოლიტინფორმატორთა, მოამზადებელთა უზარმაზარ რაზმს.

ჩვენი პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს თავისი საქმიანობის ამ დარგს. ამის დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამოქვეყნებული დადგენილებაც „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის როლის გაზრდის შესახებ". დადგენილებაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თანამედროვე პირობებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მიზნები და ამოცანები, განზოგადებულია შეძენილი გამოცდილება, აღნიშნულია ნაკლოვანებანი და განსაზღვრულია ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის ტრადიციების განვითარებასთან ერთად პარტორგანიზაციები პოულობენ და იყენებენ მის ახალ, უფრო ეფექტიან ფორმებს. საყოველთაო აღიარება დაიმსახურა, მაგალითად, კითხვა-პასუხის ხალმობამ, ხელმძღვანელი მუშაკების ყოველთვიურმა ერთდროულმა გამოსვლებმა მოსახლეობის წინაშე, საინფორმაციო-პროპაგანდისტული ჯგუფებისა და აგიტბრიგადების გახვლამ ადგილებზე, მოქალაქეთა მიტინგებმა, კრებებმა და ყრილობებმა. დიდად პოპულარულია შრომითი დიდებისა და მოსავლის დღესასწაულები, შეჯიბრების გამარჯვებულებთან შეხვედრები, ახალგაზრდობის მუშად და კოლმეურნედ კურთხევა, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრები, სხვა მასობრივი ღონისძიებანი. წარმატებით მოქმედებს პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი მომხსენებელთა ჯგუფები, კარგი ხასელი მოიხვეჭეს პოლიტინფორმატორთა ჯგუფებმა. ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების, პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის ეფექტიანი ფორმა გახდა დამრიგებლობა.

ცენტრალურმა კომიტეტმა დადებითად შეიფასა ყოველივე ეს და აშავე დროს აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ იყენებენ სრულად ზეპირი აგიტაციის შესაძლებლობებს პარტიის სასნაო და საგარეო პოლიტიკის, შრომითი კოლექტივების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებისათვის, შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის.

2 მარტის მოწინავე

PRAVDA

ყოველთვის არ არის საკმაოდ გათვალისწინებული ადამიანთა განათლებისა და კულტურის დონე, მათი ინფორმირება. ზოგან საუბრობდ, პოლიტინფორმაციები, მოხსენებები რეგულარულად არ ეწყობა, ხშირად სჯერდებიან საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა გამეორებას, პასუხს არ აძლევენ მშრომელებს მათთვის საინტერესო კითხვებზე, გვერდს უვლიან ადგილობრივი ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებს. ცალკეულ საწარმოებში აგიტკოლექტივები საერთოდ არ არის, კამპანიურ ხასიათს ატარებს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიულ კომიტეტებსა და პირველად ორგანიზაციებს განსახორციელონ ღონისძიებანი, რათა ამაღლდეს ზეპირი აგიტაციის როლი საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, შრომითს და ზნეობრივ აღზრდაში, დარაზმონ ინიციატიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის ხაანგარიშო მოხსენებასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ გადაჭრით დავძლიოთ ზოგიერთი ორგანიზაციაში დამკვიდრებული მცდარი აზრი, თითქოს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა განმტო

ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐ ქვეყანამ დაიწყო მეათე ხუთწლედის მეორე წელი. ხუთწლედის დაგალებათა ვადამდე და დროული შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებასა და მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის გუმჯობესებას. საბჭოთა ადამიანები არა მარტო პროდუქციის რაოდენობის ზრდას, არამედ ნაკლები დანახარჯებით ნაწარმის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასაც ესწრაფვიან.

ეფექტიანობის ზრდის უტყუარი გზაა ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, საბჭოთა მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დროული დანერგვა და შიდა რეზერვების ამოქმედება. პირველი სტატია გამომგონებლებს, რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს ეკუთვნის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური ახალგაზრდული ლიგის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ 1977 წლის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ ჩვენ შორის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია, იგი მშრომელთა ფართო მასების საბრძოლო პროგრამა გახდა მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამ დადგენილების პასუხად, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ 1976 წლის ოქტომბრის პლენუმით აღფრთოვანებულნი, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის მასალებით, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ჩვენ, რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებლები და რაციონალიზატორები, წარმოების ნოვატორები 1977 წლისათვის ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

საბალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით რესუბლიკას დავუზოგოთ 1 მილიონი მანეთი.

რაციონალიზატორულ და გამომგონებლობითს საქმიანობაში ჩავაბათ და აღვზარდოთ 100 ახალგაზრდა მეშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

წლის განმავლობაში დავამუშაოთ და დავნერგოთ 70-მდე ახალი ტექნიკური გადაწყვეტილება (გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება), დავზოგოთ ძვირფასი ნედლეული, საწვავი და ელექტროენერგია, გავაუმჯობესოთ ხარისხი და შევამცროთ პროდუქციის თვითღირებულება.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, გამომგონებელსა და რაციონალიზატორს, წარმოების ნოვატორს, რათა ამ ინიციატივის ფართოდ გავრცელებასა და ეფექტურად ჩაებან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის, გამოუყენებელი რეზერვების გამოვლინებისა და ძიებისათვის ბრძოლაში, მთელი ჩვენი შემოქმედებითი შრომა და ენერგია მოვახმაროთ წარმოების აქტუალური ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომითი და მატერიალური რესურსების ეკონომიას, მძიმე და ხელით სამუშაოთა მექანიზაციას.

ჩვენ მივმართავთ ყველა გამომგონებელსა და რაციონალიზატორს, წარმოების ნოვატორს, რათა მთელი თავგანთი შემოქმედება და გამოცდილება მოახმარონ ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების დამრიგებლობას, აზიარონ ისინი გამომგონებლობით და რაციონალიზატორულ საქმიანობას.

ღრმა რწმენას გამოთქვამთ, რომ ჩვენს მიმართვას ფართოდ დაუჭერენ მხარს ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლებელში, მშრომელთა შემოქმედებითს გაერთიანებაში, სოფლის მეურნეობის მუშაკები და მეცნიერები, გამომგონებლები და რაციონალიზატორები, წარმოების ნოვატორები.

გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ — სახოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქტორი, **მ. ᲐᲪᲝᲤᲝᲕᲘ** — 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი, **Ზ. ᲑᲐᲠᲙᲐᲚᲐᲘᲐ** — პენსიონერი, **Ი. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ** — სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, **Ვ. ᲙᲐᲖᲘᲝᲜᲝᲕᲘ** — საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს ახალი ტექნიკის საცდელ-მეთოდური პარტიის უფროსი, **Ა. ᲫᲣᲠᲬᲐᲫᲔ** — საწარმოო გაერთიანება „სამტრესტის“ მთავარი ინჟინერი, **Ვ. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** — ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო ექსპერიმენტული სახელოსნოს უფროსი, **Შ. ᲛᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, **Ხ. ᲜᲐᲖᲐᲠᲘᲙᲝᲕᲘ** — თბილისის ხ. Შ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მლესავი, **Ლ. ᲜᲐᲨᲞᲔᲢᲐᲠᲘᲫᲔ** — თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის მთავარი ინჟინერი, **Ე. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲙᲘ** — თბილისის ხაინსტრუმენტო ქარხნის ზეინკალი, **Შ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ** — თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის დირექტორი, **Თ. ᲨᲘᲚᲐᲫᲔ** — საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი ხადგურის დირექტორი.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლები და რაციონალიზატორები (მარცხნიდან): მ. აკოფოვი, ხ. ნაზარიკოვი, ვ. კაზიონი, ე. სოლომკო, გ. ბარკალაია, თ. შილაკაძე, ვ. მაღალაშვილი, გ. ახვლედიანი, ვ. მელნიკოვი, ი. დოლიძე, შ. ჩიქოვანი.

ᲕᲚ. ᲑᲘᲜᲬᲑᲣᲠᲒᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ V ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲐᲠᲐ ᲩᲕᲐᲚ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲓᲦᲔᲡ!

ᲘᲧᲝ დრო, როცა მარილის შესაძენადაც კი ფშავ-ხევსურეთსა და მთიულ-გუდამაყრელებს ძნელად გასასვლელი ხეობები და უღელტეხილები უნდა გადაელახათ, მერე კი ცხენით ან ზურგით მიეტანათ ოჯახში ძვირფასი ტვირთი — მარილი, ნავთი, ასანთი.

სულ სხვაა დღეს. მოსახლეობას აქ ემსახურება 132 სავაჭრო და საზკვების 47 ობიექტი. მაღაზიები გახსნილია ისეთ შორეულ სოფლებში, როგორიც არის შატილი, ბარისახო, შუაფხო. და მაინც ყველაფერი ეს ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს დაუსახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა.

ვაჭრობის ბევრი ობიექტი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს ისე, როგორც ამას საქმე მოითხოვს, ამატომ საჭიროა დღესვე და არა ხვალ, გადამჭრელი ზომები მიეღოთ, რათა აღმოვიფხვრათ ნაკლოვანებანი. პლენუმის მასალები თვითეულ ჩვენთაგანისათვის სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს.

სწორედ ამაზე იყო სერიოზული სჯა-ბაასი დუშეთის გარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოების რწმუნებულთა კრებაზე, რომელიც ახლახან გაიმართა. კრებაზე იგრძნობოდა უკმაყოფილება შექმნილი მდგომარეობის გამო. თუმცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან საკმაო დრო გავიდა, სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარღვეება. ზოგან ძველებურად უნიათოდ მუშაობენ, ბევრგან იანგარიშებერვალში არ შეუსრულებიათ ვალდებულებანი, ზოგან არღვევენ ვაჭრობის წესებს.

ვაჭრობის მუშაკთა ერთი ნაწილი სრული უპასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, საკარმეულის მაღაზიის გამაფრფელმა ნ. ხხუტიაშვილმა შარშან გეგმა მხოლოდ 55 პროცენტით შეასრულა. ცუდად მუშაობს სასურსათო კიოსკი, რომლის გამყიდველია ქ. ველთაური. კობიანთკარის მაღაზიის გამგე ქ. ბარძიკულმა დავალება 89 პროცენტით შეასრულა. ზოგ სავაჭროში არ მოიპოვება საკალდებულო ასორტიმენტის საქონელი. დაბლის მუშაკთა ნაწილი უხუმრად ექცევა მომხმარებელს, გულთან არ მიაქვს მშრომელთა საჭიროებები, ზოგჯერ სამუშაო საათებში მაღაზიები დაკეტილია. საკრამეული, ჭილეტრის, ახალშენის, თძისის და სხვა სოფლების მაღაზიები დაკეტილი იყო იმ დროს, როცა იქ საქონელი მოიტანეს.

ზოგს ვაჭრობა ადვილ საქმედ მიაჩნია. როგორც კრებაზე ითქვა, ეგი კი უაღრესად რთული დარგია, აქ საქმე მუდამ მომხმარებლებთან, ადამიანებთან გვაქვს. ვინც ამას ვერ გრძნობს, ის მომხმარებლის გულს ვერ მოიგებს, ხოლო ის, ვინც დღენიადაგ იმაღლებს კვალიფიკაციას, მომსახურების მაღალ კულტურას ამაღლავნებს, მშრომელთა მადლობასაც იმსახურებს.

სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ ირღვევა შრომის დისციპლინა. ამ მიზეზით ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 25 მუშაკს. ზოგიერთი საკუთარი მეურნეობის მოწესრიგებას უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე ვაჭრობას. დაბლის მუშაკთა უმრავლესობა არ სწავლობს მომხმარებელთა მოთხოვნილებას. მაღაზიებში ახლაც შემოაქვთ ისეთი საქონელი, რომელიც არ იყიდება. ზოგიერთის მაღაზია და ფარდული საკუთარ დუქნად მიაჩნია, თავაზიანობას და გულისხმიერებას სავალდებულოდ არ თვლის. ამიტომაც მათ მიმართ ხშირად გაისმის საყვედურები. ასევეთვე კრებაზე დასახელეს ხიდმოსენეულის მაღაზიის გამგე შ. გელთაური, ხორცის გამყიდველი ს. არაქელოვი, სპეციალურ მაღაზიის გამყიდველი ე. ქავთარაძე და სხვები.

დუშელ კოოპერატორებს ტრანსპორტი არ ჰყოფნით, ეს კი ეფერხებს საქონლის დროულად შემოზიდვას და სავაჭრო ქსელში შეტანას.

ვაჭრობის კულტურის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. შარშან დუშეთში გაიხსნა თევზეულის მაღაზია, აგრეთვე ორი სასურსათო პავილიონი, მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტიპის ახალი მაღაზია სოფელ ყვავილში, შედარებით უკეთეს ბინებში მოთავსეს ლომოვანის, არღუნისა და ბაზალეთის მაღაზიები და მაინც რაიონში არასახარბიელო მდგომარეობაა. მაღაზიების დიდი ნაწილი მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში. ზოგ შენობაში არც საქონლის გამოფენა შეიძლება და არც მარაგის შენახვა, რომ აღარაფერი ვთქვათ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე. შენობათა დიდი ნაწილი, რომლებშიც სავაჭროებია მოთავსებული, საბინაო მეურნეობას ეკუთვნის და მიუხედავად იმისა, რომ ისინი რემონტს მოითხოვენ და ავარიულ მდგომარეობაში არიან, საქმის მოსაგვარებლად თავს არავინ იწუხებს. გრიგოლაანთკარის სოფლის მაღაზიის სავაჭრო „დარბაზი“ 8 კვადრატული მეტრია. რომ ატყვიან, აქ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. განა გულსატკენი არ არის, როცა სოფელში მაღაზიას მოიკითხავ და ყველაზე უბადრუკ ქოხისაკენ მიგითითებენ, რომელშიც ბნელა, საქონელზე ფასის წარწერები არ ჩანს, სინესტის გამო საქონლის შენახვაც შეუძლებელია. უვარგის ბინებშია მოთავსებული მაღაზიები კატოხში, ლაფანანთკარში, ხეობაში.

მეცხრე ხუთწლედში ცეკავშირს გედაურში უნდა აეშენებინა „მეცხვარის სახლი“, უკანაფშავში — პურის საცხობი, ბაზალეთსა და კატოხში — მაღაზიები. საპროექტო-საძიებელ სამუშაოებზე 16 ათასი მანეთი დახარჯა, მაგრამ ამის შემდეგ არაფერი გაუკეთებიათ.

საკითხავია, კიდევ რა უშლის ხელს გეგმების შესრულებას? აი, რა თქვა მჭადიჯვრის სოფლის უნივერმაღის სექციონერმა ო. ქოქაზვილმა: — პირველ მიზეზად მე ვასახელებ სამუშაო საათებში მაღაზიის უმიზეზოდ დაკეტვას. დაბლის მუშაკმა დღეში 10-15 წუთითაც რომ დაკეტოს მაღაზია, გამოდის, რომ წელიწადში 8-10 სამუშაო დღე არ ეყოფილვართ მაღაზიაში. ჩვენ ვცდილობთ არ დავუშვათ ასეთი გაცდენები, მაგრამ ეს ფიზიკურად შეუძლებელია, განსაკუთრებით იქ, სადაც გათბობა არ არის.

სანამ საქონელი მაღაზიამდე მიაღწევდეს, მან საკმაოდ გრძელი გზა უნდა გაიაროს. ბევრი დაბლის მუშაკი მოსახლეობისათვის საჭირო საქონელს თვითონვე ეზიდება ცეკავშირის ბაზიდან, მაგრამ საწყობში შესვლა ადვილი როდია. ბაზის ერთ იდ დარბაზში მოწყობილია ვითომდა იმ საქონლის გამოფენა, რომელიც ბაზაში აქვთ. უნდა აირჩიოთ საჭირო საქონელი. მაგრამ რომელ არჩევანზეა ლაპარაკი, როცა მუდამ ერთი და იგივე საქონელია გამოფენილი. სავაჭრო ქსელში საქონელი მოდის არა განაცხადების მიხედვით, არამედ ბაზის მუშაკთა სურვილით. ერთი კვირის წინათ მჭადიჯვრის უნივერმაღმა დაუკვეთა 20 ცალი ტრიკოტაჟის 48 ზომის კაბა, სინამდვილეში მაღაზიას მოუტანეს 60 ცალი 58 ზომის კაბა, 50 ცალის ნაცვლად 150 ცალი მამაკაცის უსაფლო პერანგი... ასე გროვდება ზენორმატიული ნაშთი. დაბლის მუშაკებს ეუბნებიან, რაც არ გინდათ, უკან დაიბრუნეთო, მაგრამ ამას ყოველთვის როდი აბრუნებენ.

გეგმები რომ ვერ სრულდება, ამაში ყოველთვის ნოქარი როდია დამნაშავე. გეგმის შესრულება ხომ უპირველესად იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საქონელ მიაწოდი ობიექტებს. ჩანადირების სასურსათო მაღაზიის გამყიდველმა თ. ხაჩირიშვილმა, რომელსაც ჩამორჩენა უსაყვედურეს, თქვა: — გეგმის შესრულება პირველ რიგში მე მინდა, ამიზეა დამოკიდებული ჩემი ხელფასი, მაგრამ რა ვქნა, როცა საჭირო საქონელს არ მაძლევენ.

გარეუბნის სავაჭრო ქსელი სასურსათო პროდუქტებით მარაგდება რაიკავშირის საწყობიდან. ადრეც არ იყო და ახლაც არ არის საქონლის მარაგი. შარშან აქ არ ჰქონდათ გაყინული და შებოლილი თევზი, ძეხვი. საერთოდ რაიონი განიცდის ზოგიერთი პროდუქტების ნაკლებობას. ახლახან დუშეთში შეწყვიტეს რძის გაყიდვა. კოოპერატორები ამბობენ, რძის ფონდი გაგვთავდაო. საპროდუქტო საწყობში დიდი დრო იხარჯება სატვოების გაფორმებაზე, არა ჰყავთ მტვირთავი მუშები.

ვაჭრობის მუშაკთა საშუალო თვიურმა ხელფასმა შარშან 134 მანეთს მიაღწია, ეს ცუდი როდია, მაგრამ არის სავაჭრო ობიექტები, სადაც გამყიდველები ხელფასის მინიმუმსაც ვერ იღებენ. ასეთ სავაჭროებში სამუშაოდ ხალისით კი არა, საერთოდ არ მოდიან.

დუშელ კოოპერატორებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი იმისათვის, რომ წარმატებით განადგურონ ვაჭრობის მუშაკთა წინააღმდეგ პარტიის მიერ დასახული ამოცანები. მათ სათანადო ღონისძიებაც დასახეს. მომსახურების სფეროში სრული წესრიგი უნდა დამყარდეს არა ერთ თვეში, არა ხვალ, არამედ დღეს, სწორედ დღეს.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

Გ. ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ

ᲒᲐᲖᲗᲘ „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „ახალგაზრდა სპეციალისტს გამოყენება უნდა“, სწორად ასახავს საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენებაში ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების არასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას. ისინი ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებას სრული უპასუხისმგებლობით ეკიდებიან. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს დროულად არ უდგენენ განაცხადს, არ უჩვენებენ კონკრეტულ სამუშაო ადგილს, თანამდებობას, ხელფასის ოდენობას, ბინით დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა სპეციალისტებს განაწილების ადგილზე გამოცხადების შემდეგ სამუშაოს არ აძლევენ. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ხელმძღვანელები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ და ახეთ შეუფასებელ ფაქტებს რეაგირებას არ უკეთებენ. ამას ემატება გამანაწილებელი კომისიების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმი. ყოველივე ეს იწვევს საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ ახალგაზრდა სპეციალისტების გადანაწილებას, რაც ზოგჯერ მტკივნეულ ხასიათ ღებულობს.

უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს და ტექნიკუმის დირექტორებს დიდებულათ გულდასმით განიხილონ გაზეთ „კომუნისტის“ 1976 წლის 26 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი — „ახალგაზრდა სპეციალისტს გამოყენება უნდა“, ფრთხილად ანალიზი გაუკეთონ სამინისტროებისა და უწყებების ახალგაზრდა სპეციალისტებს, ეფექტურად ... ...

პედაგოგთა საბრძოლო ამოცანები

აფხაზეთისა და აჭარის მასწავლებელთა ყრილობების გამო

საქართველოს პედაგოგთა IV ყრილობისათვის მზადება იმ დღეებს ემთხვევა, როცა რესპუბლიკის მრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ლენინ-შესანიშნავი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მეორე წლის გეგმების და გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის და თავდადებით იბრძვიან პარტიის წინასწარდახუნულობათა განსახორციელებლად. მრომელთა საგმირო საქმეებში თავიანთი წვლილი საქართველოს პედაგოგებსაც შეაქვთ.

ამას წინათ გაიმართა აფხაზეთის მასწავლებელთა III და აჭარის მასწავლებელთა II ყრილობები, რომელთა მუშაობის შესახებ გთავაზობთ გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების წერილებს.

ნოსტალგია ს. ჯანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა აფხაზეთის მასწავლებელთა მესამე ყრილობა.

მოხსენებით — „მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდის ამოცანები, სკკპ XXV, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად“ — გამოვიდა აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი თ. კოღონია.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთში მასწავლებელთა მეორე ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, საშუალო სკოლების ქსელის გაფართოებისათვის. ამ პერიოდში აშენდა და მწყობრში ჩადგა სკოლებისა და ბავშვთა დაწესებულებების შენობები 17.527 მოსწავლისა და 930 ბავშვის ადგილით.

ამასთან ერთად ყრილობის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. ზოგ სკოლაში, განსაკუთრებით სოფლის სკოლებში ღარიბია სასწავლო-მატერიალური ბაზა. სერიოზული ნაკლოვანებებია სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისადმი სკოლის დირექციების, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობაში.

სახალხო განათლების დღევანდელობის გაზრდილ ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ გ. მაკარაშვილმა. ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. ღონორქიფანიძემ.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია და მიმართვა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მასწავლებლის, სახალხო განათლების მუშაკების, მშენებლებისა და მთელი საზოგადოებრიობისადმი.

მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინობა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

□

ახლახან გამართულ აჭარის პედაგოგთა მეორე ყრილობაზე მომხსენებელმა, აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა ვ. წულუკიძემ და კამათის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს სახალხო განათლების დარგში იმ დიდ ძვრებზე, რაც აჭარის პედაგოგთა პირველი ყრილობის შემდეგ მოხდა.

ამჟამად აჭარაში 426 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც 75 ათასი მოსწავლე ეუფლება ცოდნას. მათს აღზრდას 6.700 პედაგოგი ემსახურება. განვლილ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კაპიტალური სასკოლო შენობები, სადაც 13.700 მოსწავლე ეუფლება ცოდნას. ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში ფართოდ არის გაშლილი საინიციატივო მშენებლობა. ამჟამად ბობოყვათსა და ჩაისუბანში შენდება სკოლები, სადაც თვითეულში 1100 მოსწავლე ისწავლის.

ყრილობაზე ამასთან ერთად სიყვედური გამოითქვა მშენებელთა მიმართ, რომლებმაც მარტო შარშან 400 ათასი მანეთის სამუშაო არ შეასრულეს.

ცხადია, ფართოდ გაიშლება სასკოლო მშენებლობა, რაზეც 8 მილიონი მანეთი დახარჯება. ახალი სკოლები აიგება 10 ათასი, ხოლო სკოლა-ინტერნატები 500 მოსწავლისათვის.

ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწავლების ხარისხს, აგრეთვე ქართულ სკოლებში — რუსული ენის სწავლებას, რასაც სტიმული მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცნობილმა დადგენილებამ რუსული ენის სწავლების შესახებ. მშობელთა თხოვნით ფართო გავრცელება ჰპოვა სბბავშვო ბაღებში რუსული ენის სწავლებამ. მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ რუსული ენის სწავლება მაღალ დონეზე ვერ დგას ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების ზოგიერთ სკოლაში, სადაც არ პყოფნით სპეციალისტები. ასეთივე მდგომარეობაა უცხო ენის, მათემატიკის, ქიმიისა და ფიზიკურის სწავლებაში. ამ რაიონების 4 სკოლაში, იმის გამო, რომ სპეციალისტები არა პყავთ, უცხო ენა არ ისწავლება, და აი, როცა ასეთი მდგომარეობაა, დანიშვნის ადგილზე არ ცხადდება ბევრი უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არის აღმოფხვრილი უდისციპლინობა. არის რელიგიური რიტუალის შესრულების შემთხვევები, არასრულწლოვანთა ქორწინების ფაქტები. ამ მხრივ პედაგოგებს მეტი მუშაობა მართებთ.

შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან მშობელთა უნივერსიტეტები, რომელთა საქმიანობას პედაგოგები წარმართავენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლისა და ოჯახის ურთიერთობას, მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ უ. ობოლაძემ ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა აჭარის განათლების სამინისტროს საღამოს სკოლების მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის. ეს ჯილდო აჭარამ ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ბაბუნიძემ.

ყრილობამ მიიღო სათანადო რეზოლუცია და აირჩია საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის დელეგატები.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ადამიანთა კეთილდღეობისათვის

კურორტების მართვის საბჭოს — გარდამავალი დროშა

დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საბჭომ. 1976 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით იგი დაჯილდოებულია მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, პირველი ხარისხის დიპლომით და ფულადი პრემიით. ეს მაღალი ჯილდო კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს კოლექტივს ზედიზედ მეორე წელია ენიჭება.

განმარტა რა ეს მოვლენა, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ პ. ჩიკვილაძემ საკინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— საქართველოს პროფკავშირული ჯანმრთელობის კერების მუშაკები მაღალი პასუხისმგებლობით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობაზე წარმოთქვა ამის შესახებ, რომ სოციალიურ ამოცანებს შორის არა არის რა იმაზე დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე ზრუნვა საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის. რესპუბლიკაში წარმოებს დიდი მუშაობა სანატორიუმებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის, მშრომელთა დასვენებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

დიდი ყურადღება ეთმობა კურორტებზე კაბინეტებისა და სამსახურების გაერთიანებას, ცენტრალიზაციას, მეთოდიკური ცენტრების შექმნას. მაგალითად, წარმატებით მუშაობენ კლიმატოთერაპიის, ფსიქოთერაპიის, დიეტური კვების, სამკურნალო ფიზიკულტურის ცენტრები ბაგრაში, წყალტუბოში, ბორჯომში, ზღვითწლობით მტკიცდება საქართველოს პროფკავშირული კურორტების მატერიალური ბაზა. გადაპარმებით შესრულდა 1976 წლის კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. შესრულდა თბილისის ზღვაზე სანატორიუმის ტიპის პიონერული ბანაკის, დასასვენებელი სახლის „გუმისთას“, შოვისა და გუმისთის დასასვენებელი სახლების საძიერ კორპუსების საექსპლოატაციოდ გადაცემის სოციალისტური ვალდებულებანი. მაღე პირველ დამსვენებლებს მიიღებს გუდაუთის დასასვენებელი სახლი. გაგრაში აშენდა ბალნეოლოგიური სამკურნალო, რომელსაც სამკურნალო პროცედურების ფართო დიაპაზონი აქვს.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის პროფკავშირთა კურორტების საქმიანობაში არ არის ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, ისინი ჯერ კიდევ ბევრია. ჯანმრთელობის დაცვის კოლექტივები ზრუნავენ მათი უსწრაფესი და სრული ლიკვიდაციისათვის. (საკინფორმი).

ცოდნა-მასებს!

საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მეათე კონფერენცია

იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს დიდი როლი ეკუთვნით მშრომელთა იდეურ-ხელოვნური აღზრდაში. საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის 1.600 ლექტორი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებს ამ საპატიო მისიას. მრავალათასიანი კოლექტივი დიდ მუშაობას ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული მემკვიდრეობის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის სამნიადო და საგარეო პოლიტიკის, სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე, გმირ ქალაქ ტულისათვის ოქროს ვარსკვლავის გადაცემის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების, აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებათა მიხედვით.

გაწეული მუშაობის, ლექციური პროპაგანდის ყველა ფორმისა და მეთოდის უფრო ქმედითად გამოყენების, მშრომელთა მეცნიერული და იდეურ-თეორიული დონის ამაღლების გზების შესახებ დიდი სკა-ბაასი გაიმართა 28 თებერვალს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის X კონფერენციაზე.

საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ორი წლის მუშაობის შესახებ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. დავითაიამ.

საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, დოცენტმა გ. გურგენიძემ.

მომხსენებლებმა და კამათის მონაწილეებმა უმადლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ანჩაბაძემ, საქართველოს ისტორიის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა მ. ლორთქიფანიძემ, „მეორკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ — პოლიტსამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა ნ. ჩებიკინმა, საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონული განყოფილების თავმჯდომარემ პროფესორმა ნ. სტურუამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში თბილისში წაკითხულია 107.749 ლექცია, რომლებსაც დაესწრო 4.261.804 კაცი.

ორატორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

გაიმართა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის, აგრეთვე სარევიზიო კომისიის არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. დავითაია, მოადგილეებად — ს. გამრეკელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ა. ბარამიძე, ვ. ოკუჯავა.

კონფერენციაზე აირჩიეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ VIII ყრილობის დელეგატები. (საკინფორმი).

ქალთა საერთაშორისო დღე

ფაქტები • პროგნოზები

ბოლიკლიზმის ქვეყნებში

ოქტომბერს — ღირსეული შეხვედრა

ბუდაპეშტი, (საკდესი). მასობრივი მოძრაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მოწმობს უნგრელ მშრომელთა ერთგულებას ვ. ი. ლენინის ანდერძისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მარიამ ნადმა. ყველას გვახარებს, თქვა მან, რომ დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ერთ-ერთი პირველი კოლექტიური წევრი — ჩეპელის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი კომბინატი და რომ ამ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ არა მარტო უნგრეთში, არამედ სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება ჩეპელი მუშებისადმი, მათი შრომის მაღალი შეფასება ამ წერილში, აღგვაფრთოვანებს კიდევ უფრო უკეთ ვიმუშაოთ უნგრელი და საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ, აღნიშნა შემდეგ მ. ნადმა, დიდი ოქტომბრის წლისთავის დღესასწაულობის ფართო პროგრამა შეიმუშავა. მომავალ თვეებში ჩვენს დამოყვრებულ ოლქებსა და ძმადნაფიც ქალაქებში მოეწყობა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სტუმრებიც. დიდ ოქტომბერს მიეძღვნება ბევრი საინტერესო გამოფენა.

მომავალი დღესასწაულის აღსანიშნავად უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების შეკვეთით უნგრელი კინემატოგრაფისტები გადაიღებენ რამდენიმე დოკუმენტურ ფილმს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის დღევანდელობას, ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობას.

დღესასწაულის წინ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პოლიტიკურ სკოლასთან, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად და საბჭოელ მეცნიერთა მონაწილეობით მოაწყობს სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას მიეძღვნება.

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ წარმატებით შეასრულოს თავისი ეალი — საგრძნობი წვლილი შეიტანოს ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულ შეხვედრაში, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ მ. ნადმა.

ინიციატორებთან

უნგრეთი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად სრულიად უნგრეთის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორები ჩეპელის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი კომბინატის ბრიგადები გახდნენ. კომბინატის კოლექტივმა იკისრა 7 ნოემბრამდე დაამთავროს საბჭოთა კავშირისათვის იმ პროდუქციის მიწოდება, რომელიც წლევანდელი წლისათვის არის დაგეგმილი. მთელი პროდუქცია, რომელიც ხსრ კავშირისათვის არის გათვალისწინებული, მხოლოდ მაღალი ხარისხისა იქნება.

ბუდაპეშტის მეტალურგთა და მანქანათმშენებელთა თაოსნობას უკვე ათობით საწარმო კოლექტივმა დაუჭირა მხარი.

სურათზე: კომბინატის მუშები მსჯელობენ ნაკისრ ვალდებულებებზე.

მტი-საკდესის ფოტო.

ახალი პრეზიდენტი აქტი

ლუანდა, (საკდესი). ანგოლის სოფელ პანგალაში კვლავ მშვიდობიან მცხოვრებთა სისხლი დაღვარა შეიარაღებულმა ბანდამ, რომელიც ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში ზაირის ტერიტორიიდან შეიჭრა.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეს თანახმად, 200 ბანდიტი, რომლებსაც ევროპელი დაქირავებულნი მეთაურობდნენ, 26 თებერვალს ანგოლაში შეიჭრა. მათი ბოროტმოქმედების შედეგად 43 კაცი დაიხოცა და 25 დაიჭრა, დაზოგილთა შორის არიან მოხუცები, ქალები და ბავშვები. ეს თავდასხმა, აღნიშნულია კომუნიკეში, მეორე დღეს მოხდა იმის შემდეგ, რაც ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ ოფიციალურად განაცხადა, რომ იმპერიალიზმის აგენტები ანგოლაში შეჭრას აპირებენ.

ანგოლის მთავრობა, ნათქვამია დოკუმენტში, აფრთხილებს ყველა შეიარაღებულ ბანდას, დაქირავებულებსა და ყველას, ვინც მათ ხელმძღვანელობს და მათს მოქმედებას წარმართავს, რომ ამგვარი აქციები მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებიდან დაუსჯელი ვერ დარჩება და რომ ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდება, რათა ბოლო მოეღოს ამგვარ პროვოკაციებს.

ენერგეტიკის მწვავე პრობლემები

კანონპროექტი ენერგეტიკის სამინისტროს შექმნის შესახებ

ვაშინგტონი, (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა კონგრესს გაუგზავნა კანონპროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგეტიკის სამინისტროს შექმნის შესახებ. როგორც აღნიშნულია პრეზიდენტის წერილში, რომელიც კანონპროექტს დაურთო, სამინისტროს „ფართო უფლებამოსილებანი ექნება ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემებისადმი ყოველისმომცველი მიდგომის უზრუნველსაყოფად“. სამინისტრო გააერთიანებს იმ სამი ფედერალური უწყების ფუნქციებს, რომლებიც ამჟამად ენერგეტიკის საკითხებს განაგებენ, აგრეთვე სხვა დაწესებულებათა განყოფილებების ფუნქციებს.

თეთრ სახლში გამოაცხადეს, რომ ენერგეტიკის სამინისტროს შექმნის წინადადება გამოიწვია „ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული პრობლემების სერიოზულმა მდგომარეობამ“. უკანასკნელ თვეებში ბუნებრივი გაზის დიდი ნაკლებობა „მხოლოდ სიმპტომია მძიმე და ქრონიკული ენერგეტიკული პრობლემისა“.

სპეციალისტები პესიმისტურად აფასებენ ქვეყანაში ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს და, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო დამოკიდებული ხდება ენერგიის უცხოურ წყაროებზე. როგორც ამერიკის ნავთობის ინსტიტუტი იუწყება, იმპორტის წილმა ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის ბალანსში შარშან 42 პროცენტი შეადგინა, წელს კი 51 პროცენტამდე გაიზრდება.

მიღება თეთრ სახლში

ვაშინგტონი, (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა მიიღო საბჭოთა კავშირიდან გაძევებული ბუკოვსკი — სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც აგრეთვე ცნობილია, როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების აქტიური მოწინააღმდეგე.

ამ შეხვედრის წინ ბუკოვსკის ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი უ. მონდეილი.

პოლიციის თარეში

ესპანეთის პროგრესული საზოგადოებრიობის აღშფოთება

მადრიდი, (საკდესი). პოლიციელთა თარეშით და დაპატიმრებებით უპასუხეს ესპანეთის ხელისუფლებამ ქვეყნის მშრომელთა გამოსვლებს პოლიტპატიმართა ამნისტიის მოთხოვნის მხარდასაჭერად.

ოცდაათზე მეტი კაცი მძიმედ დაიჭრა, რამდენიმე ათეული დაკავებულია — ასეთია სამოქალაქო გვარდიის გაძლიერებული რაზმების მოქმედების შედეგები, რომლებიც „წესრიგს იცავენ“ ესპანეთის ბასკურ პროვინციებში.

ბილბაოს პროვინციის რამდენიმე ქალაქში მშრომელებმა დაიკავეს მუნიციპალიტეტების შენობები, ფაბრიკა-ქარხნების საამქროები, ჩაიკეტნენ ეკლესიებში. ასეთი ფორმის პროტესტი ესპანეთში ტრადიციული გახდა. ლეიკატიოში — ბილბაოს მახლობლად მდებარე პატარა სოფელში გასამხედროებულთა პოლიციის რაზმები შეიჭრნენ ეკლესიაში და სცემეს იქ თავმოყრილ ხალხს. ბევრი საავადმყოფოში გაგზავნეს. ასეთივე ინციდენტები მოხდა პროვინციის რამდენიმე სხვა ქალაქსა და სოფელში.

მშვიდობიანი მოძრაობის მონაწილეებთან ამგვარმა ანგარიშის გასწორებამ აღშფოთა მთელი ესპანეთის პროგრესული საზოგადოებრიობა. პოლიციის თარეშის წინაღმდეგ პროტესტის ნიშნად რამდენიმე ქალაქში მუშებმა და მოსამახურეებმა გაფიცვები გამოაცხადეს.

უკანასკნელი იმედი

მაპუტუ, (საკდესი). ხმიტინ უკანონო რეჟიმმა როდეზიაში ქვეყნის ტოტალური მილიტარიზაციის ახალი ღონისძიებანი გამოაცხადა. 16-დან 50 წლამდე ასაკის ყველა ევროპელ მამაკაცს სულ მალე სავალდებულო წესით შეიყვანენ ხამობილიზაციო სიებში, განაცხადა სოლსბერის „მთავრობის“ ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის „მინისტრმა“ რ. კრონიენმ. ამიერიდან გაწვევის შეღავათი და ეადის გადაწევა ვრცელდება მხოლოდ ერთობ შეზღუდული წრის პირებზე, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ქვეყნის „უშიშროების დაცვასთან“ ან „საარსებო მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისათვის“. „რასისტთა ახალწეულებმა“ როდეზიის არმიისა და პოლიციის შემადგენლობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ზომბაბვეს პატრიოტთა წინააღმდეგ მიმართულ სადამსჯელო ოპერაციებში.

რასისტმა „მინისტრმა“ თქვა, რომ მისი თანამრთობა აპირებს ახლო მომავალში მკვეთრად გაზარდოს შეიარაღებული ძალების რიცხვი იმ „კრიზისულ ეტაპთან“ დაკავშირებით, რომელიც ახლა დაუდგა. მან აღიარა, რომ „ტერორისტებმა“ — ასე უწოდებენ როდეზიელი რასისტები ზომბაბვეს თავისუფლებისათვის მებრძოლთ — უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააქტიურეს საბრძოლო მოქმედება.

ეს საინტერესოა

პულსარის ფოტოსურათი

კანბერა. (საკდესი). ხაიდინგსპრინგის ასტრონომიულ ობსერვატორიაში ავსტრალიელ და ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფმა გადაიღო ილქნის თანავარსკვლავედის პაწწკინტელა ვარსკვლავი — პულსარი. სურათი გადაიღეს 381 სანტიმეტრიანი ტელესკოპის დახმარებით. ვარსკვლავი დედამიწიდან 1600 სინათლის წლით არის დაშორებული. მისი დიამეტრი მხოლოდ 20 კილომეტრია. ავსტრალიელი მეცნიერები მას ნეიტრონული კლასის ვარსკვლავებს მიაკუთვნებენ და ფიქრობენ, რომ ეს ყველაზე პატარა ვარსკვლავია, რომლის დანახვა შესაძლებელია ოპტიკური საშუალებებით. რადიოსიგნალები, რომლებსაც ყოველ 11 წამში გამოსცემს პულსარი, სიდნეის უნივერსიტეტს მეცნიერებმა ჯერ კიდევ 1968 წელს დაუჭირეს.

საფრთხე კვლავ რჩება

ძ. ვალდპაიმის მოხსენება უშიშროების საბჭოს

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ახლო აღმოსავლეთში ამასწინანდელი მოგზაურობის შემდეგ უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოხსენება ამ რაიონის მდგომარეობის შესახებ. როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, მოგზაურობის დროს დადასტურდა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე განახლდეს ჟენევის საზავო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. არაბული სახელმწიფოები, აღნიშნა კ. ვალდჰაიმმა, იმ პოზიციის ადგანან, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ახლო აღმოსავლეთის თაობაზე ნებისმიერ მოლაპარაკებაში, როგორც პალესტინელი არაბი ხალხის ერთადერთმა კანონიერმა წარმომადგენელმა. მოხსენებაში ამავე დროს აღნიშნულია ტელავივის ნეგატიური პოზიცია, რომელიც ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევს ჟენევის კონფერენციაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობის სრულფასოვანი სახით.

არაბულმა სახელმწიფოებმა, აღნიშნავს შემდგომ კ. ვალდჰაიმი, მხარი დაუჭირეს კონფერენციის მოწვევას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის შესაბამის რეზოლუციებში მითითებულ ვადაში — 1977 წლის მარტის დამლევამდე. ამავე დროს მათ აღნიშნეს, რომ დაინტერესებული არიან მიიღწიონ ყოვლისმომცველ მოწესრიგებას ჟენევის კონფერენციის ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რაც პირველ რიგში მოიცავს პალესტინის საკითხის გადაჭრას და ისრაელის წასვლას ოკუპირებული ტერიტორიიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ერთგული რჩება მისი 1976 წლის 2 ოქტომბრის წინადადებაში მოცემული პრინციპული პოზიციისა. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ყოვლისმომცველ მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში. მტკიცე მშვიდობისა და მთლიანად საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოიწოდებს დაუყოვნებლივ განახლონ ჟენევის კონფერენციის მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების საფუძველზე. მას მიაჩნია, რომ ჟენევის საზავო კონფერენცია შეიძლება მოიწვიოს ორ ეტაპად და სათანადო მნიშვნელობას ანიჭებს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობას ჟენევის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაში.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ძირითადი ელემენტები, ნათქვამია მოხსენებაში, ძნელად გადასაწყვეტია და მათი განხილვა განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, ჩანს ამ რაიონში სულ უფრო მეტად ესმით, რომ ამჟამად არსებობს სერიოზული მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობა და თუ ამ შესაძლებლობით არ ისარგებლეს, წარმოიშობა მდგომარეობის მორიგი გაუარესების სერიოზული საფრთხე, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვება არა მარტო ახლო აღმოსავლეთის, არამედ მთლიანად საერთაშორისო გაერთიანებისთვისაც.

რავენსბრუკელი ბავშვები

ფ. კ. ვაისკოფი

ეს ამბავი ანა ზეგერსმა მაშინ მიამბო, როცა შვიდი წლის ემიგრაციის შემდეგ ერთი ჩვენი საერთო ნაცნობის ბინაში შეხვედით ერთმანეთს.

მივესალმე თუ არა, ანამ გვერდით გამიხმო, სავარძელზე დამსვა და მითხრა:

— ერთი განსაცვიფრებელი ამბავი მაქვს შენთვის საამბობელი. სწორედ ისეთია, შენი „დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილი ამბებისათვის“ რომ გამოგადგება.

ჩვეული მანერით ლაპარაკობდა. თითქოს დაბნეულადაც, და ამასთან გულშიჩამწვდომად. თვალები კი უკვე სრულიად გაქაღარავებულ ქალს ერთთანად ნატვენით ჰქონდა სავსე.

— ეს შემთხვევა მხოლოდ შენი წიგნისათვის მიმაჩნია ზედგამოჭრილად. ისე რომ არ ყოფილიყო, ამ სიუჟეტს არაფრის გულისათვის არ გიჩუქებდი. თვითონვე ჩავუჯდებოდი...

გამიღიმა. მერე კი, უფრო მეტი გრძნობით ალაპარაკდა:

— სიტყვა მომეცი, რომ ისეთნაირად აღწერ ყოველივეს, არავის დაარწმუნებ, თითქოს და, ყოველისშემძლე განგება მაინც არსებობდეს... თუმცა, რას ვლაპარაკობ, — საკუთარ თავს გაიწყვეტინა. — რა აზრი აქვს განგებას, რომელმაც შეიბრალა სამი ადამიანი, ისეთი ათასობით კი გზის კამერებში, ფაშისტთა სიკვდილის ბანაკებში დასაღუბად გიიმეტა? არა, ამ ამბავს იმასთან. რასაც განგების სასწაულტრანსპორტის საკითხის მოგვარებას — განა ყველას ჩამოთვლი?

ბეგრჯერ მდგარან კომიტეტის წევრები კაპიტულაციის წინაშე. მაგრამ ბოლოს, სამართალმა მაინც პური ჭამა, და 1946 წლის შემოდგომის

საქართველოს მთა-ბარში



აჭარა

დღეს დასვენ

შეკვეთებს ეგზავნიან ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ხუთწლედის ახალმშენებლობები

აჭარაში მეათე საიუბილეო ხუთწლედის მანძილზე 36 პროცენტით გაიზრდება კაპიტალური მშენებლობა, საამისოდ 200 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბინაო მშენებლობას, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 289 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გაფართოვდება ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზა, რისთვისაც დაიხარჯება 13 მილიონ. 620 ათასი მანეთი. 6 მილიონ 100 ათასი მანეთია გამოყოფილი ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის გასაფართოებლად და თბოელექტროცენტრალის მეორე რიგის მშენებლობის დასამთავრებლად. ორ მილიონამდე მანეთი დაიხარჯება ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის გასაფართოებლად, ბათუმში აშენდება პოლიმერული მასალების კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია, ხოლო ქობულეთის რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ჩაის ახალი ფაბრიკა, მრავალსართულიანი სასტუმრო, მაღლივი ტიპის ჯანმრთელობის კერები და სხვა შენობები.

კულტურის კერების საიუბილეო სამზადისი

იმ დღეს ვინ არ იყო აჭარის კულტურის მუშაკთა საოლქო კრებაზე. იქ ნახავდით თეატრების, კლუბების, ანსამბლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ორგანიზაციების აქტივისტებს.

აქტივება განიხილა საკითხი „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით აჭარის კულტურის დაწესებულებათა მუშაობისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის შესახებ“.

მომხსენებელმა — აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ღლონტმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ დიდ ამოცანებზე, რაც პარტიამ დაუსახა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ქალაქად და სოფლად.

აქტივზე აღინიშნა, რომ ამ მხრივ აჭარის შემოქმედებითი ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან, მრავალფეროვანია მათი საქმიანობა. მოსახლეობას უყვარს ბათუმის სახელმწიფო თეატრი, მ. კუზიანიძის სახელობის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. მაღალ დონეზე ჩაიარა თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებამ. მხატვრებმა მოკლე დროში რამდენიმე გამოფენა მოაწყეს.

მაგრამ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

აქტივის მუშაობა შეაჯამა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ლ. ბოლქვაძემ.

ხელოვნება ხალხს ეკუთვნის

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“, — ასეთი იყო თეორიული კონფერენციის თემა, რომელიც მოაწყეს აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრომ და ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებელ სასწავლებელმა. იგი სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

მოხსენებები: „პარტიის XXV ყრილობა ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის შესახებ“, „სახვითი ხელოვნების განვითარება აჭარაში“, „მუსიკალური ცხოვრება აჭარაში“, „აკაკი წერეთლის სიმღერად ქცეული ლექსები“ — წაიკითხეს ლექტორებმა ი. ბიბილეიშვილმა, ვლ. შარაშიძემ, გ. საღარაძემ, ა. სულაბერიძემ.

კოლმეურნეობა სკოლას აშენებს

ქობულეთი. რაიონში ფართოდ არის გაშლილი სასკოლო მშენებლობა. საინიციატივო წესით ბობოყვათისა და ჩაისუბნის კოლმეურნეობები აშენებენ მრავალსართულიან კაპიტალურ სკოლებს 1.100 მოსწავლისათვის. თვითეული სკოლის შენებლობაზე 760 ათასი მანეთი დაიხარჯება.

კოლმეურნეს რეპეტიციაზე მიეჩქარება

ქობულეთი. მუხაესტატეს სასოფლო კლუბის ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლში 75 კოლმეურნეა გაერთიანებული. ანსამბლი ასრულებს როგორც ქართულ, ისე მომდე ერების ცეკვებსა და სიმღერებს.

ახლახან ანსამბლმა განაახლა რეპერტუარი, ამიტომ სამუშაო საათების დამთავრებისთანავე ანსამბლის წევრები რეპეტიციაზე მიიჩქარიან. კლუბიდან სასიამოვნო ჰანგები მოისმის...

ანსამბლი დიდი ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კონცერტებს გამართავს მეზობელ სოფლებში.

მანქანას — სახელმწიფო ხარისხი

აი კიდევ ერთი სიახლე: ახლახან ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში სასიხარულო ცნობა მიიღეს, საწარმოს პროდუქციას — ჩაის სატკეპნ მანქანას სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა. ამრიგად, ქეეყნის ჩაის მრეწველობის მრავალი საწარმო მიიღებს ხარისხსინაშნიან, გაუმჯობესებულ მანქანას.

გათუმური მანქანები საექსპორტოდ

სასიხარულოა, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წელი ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა აღმავლობით დაიწყეს, მათ იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, პროდუქციის გამოშვებისა 101,1 პროცენტით, რეალიზაციისა 107,6 პროცენტით.

საწარმოს კოლექტივმა დაამთავრა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებისათვის მოწყობილობის დიდი პარტიის გაგზავნა და დაიწყო ახალი საექსპორტო დაკვეთების შესრულება. იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მზადდება საკონსერვო ქარხნების ავტოკლავები.

* * *

სურათზე: აჭარის ასსრ. ჩაქვის გზაზე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მონინავეებს — ჯილდოები!

ცხაკაია. (საკ. კორ.). შარშან ნაყოფიერად იმრომეს ცხაკაიის კომბინირებული საკვების ქარხნის და ამ რაიონის, აგრეთვე გეგეჭკორისა და ჩხოროწყუს რაიონების დამზადებისა და ხარისხის ინსპექციის მუშაკებმა. მათ რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს ქვების სიგელები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნები დაიმსახურეს, რომლებიც გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცა სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკმა ბ. ქვარაცხელიამ.

სამკერდე ნიშნები მიიღეს ქარხნის დირექტორმა ალ. კოკაიამ, ინსპექციების უფროსებმა მ. ჯანაშიამ, შ. ნოწორიამ, ვ. თოდუამ, მოწინავე მუშაკებმა ს. შარტავამ, თ. ჯანაშიამ, შ. ჭითაწავამ, ბ. ჩიქობავამ და სხვებმა.

შვილი ჯარზე მსახურობს

წარჩინებული

ტარიელ წულაია. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ. ახალგაზრდა ავტომონტიერს გაუმართლდა კიდეც... იგი ავტომობილისტთა ქვეგანაყოფში ჩარიცხეს. სულ მალე ტარიელის მშობლებმა მარიამ და ივლიანე წულაიებმა სასიხარულო ბარათი მიიღეს შორეული მხარიდან: „თქვენი შვილი ტარიელ წულაია ჩვენს ნაწილში მსახურობს. მოხარული ვართ, გაცნობოთ, რომ ტარიელი თავის მოვალეობას პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებს. იცავს სამშობლოს და თავგამოდებითაც შრომობს, ამხანაგებს მუშაობაში მუდამ ეხმარება, უფროსებსა და მეგობართა შორის კარგი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. ჩვენ ყველანი ვამაყობთ თქვენი შვილით. დარწმუნებული ვართ, თავის მხედრულ ვალს რომ მოიხდის, კომუნიზმის დიდსულოვან შენებელთა რიგებში ჩადგება“. წერილს ხელს აწერენ ქვეგანაყოფის მეთაურები პავლოვიჩი, მოტშენკო, კოროსტელევი.

დღეები დღეებს მისდევდა და თვითეულ ამანათს ახალი სიხარული მოჰქონდა ტარიელის მშობლებისათვის... სამხედრო გაზეთი მოწონაგვში წერდა: „აგერ უკვე ხუთი თვეა ახალგაზრდა ავტომობილისტთა ბრიგადა თავდადებით შრომობს, აქ ტარიელ წულაიას ამხანაგები ყოველთვიურად სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოდიან და პირველ ადგილზეა. მუშაობის დროს თვითეული კოლეგა შრომის დისციპლინით გამოირჩევა. ისინი გეგმას ყოველდღიურად 180-210 პროცენტით ასრულებენ. თუ ამ კოლექტივის კომკავშირელები ასე მოწინავენი არიან, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის სკკპ წევრობის კანდიდატს ტარიელ ივლიანეს-ძე წულაიას“.

საამაყოც არის და მისაბაძიც, როცა რესპუბლიკის გარეთ ასე დაგაფასებენ და შენი შრომით თავს ისახელებ.

ტარიელ წულაიამ, სადაც კი უმუშავია, საქმისადმი ერთგულებით, შრომისმოყვარეობით გამოიჩინა თავი. მას საპატიო სიგელები მიღებული აქვს „მოსავლის აღებაში მიღწეული მაღალი შრომითი მაჩვენებლებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის“. ეს სიგელი და მადლობის ბარათი მას პარტიის რაიკომის მდივანმა გადასცა. ქართველი ჯარისკაცი საპატიო სიგელებით რაიონის მეურნეობებისა და ქარხნის კოლექტივებაც დაჯილდოს.

გავა ცოტა ხანიც და ტ. წულაია ვაჭმოხდილი დაუბრუნდება ოჯახს, და იმედია, თავის ახალ სამუშაო უბანზე კვლავ წარმატებებს მიაღწევს.

ლ. ქინქლაძე.

მწყობრის წინ

თბილისი, თინა, ნოე ფუგლაძეებს

„ტაქტიკურ მეცადინეობაზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის გიცხადებთ მადლობას“...

ეს სიტყვებია ჩაწერილი სპეციალურ მადლობის ბარათში, რომელიც თქვენმა შვილმა უმცროსმა სერჟანტმა ბესარიონ შუბლაძემ დაიმსახურა. მას ჩვენს სამხედრო ნაწილში ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი და სამშობლოს სახელოვნების, ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების ერთგული დამცველია. საბრძოლო დავალებათა შესრულებაში ბ. შუბლაძე ყოველთვის მოწონებას და მეთაურთა მადლობის სიტყვებს იმსახურებს. ამჯერად მას საზეიმოდ, მწყობრის წინ სპეციალური მადლობის ბარათი ჩაეგება. გვესაამოვნება და გვიხარია, რომ ასეთი კარგი შვილი აღზარდეთ, რისთვისაც თქვენ, როგორც მშობლებს, გულწრფელ მადლობას გიგზავნით.

ფ. ნიკოლაიჩიკი,
სამხედრო ნაწილის მეთაური.
დ. პეტროვი,
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

აცხადებს დახურულ კონკურსს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოზე „უახლესი ქართული ლიტერატურა“

კონკურსის პირობები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს X კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო: „უახლესი ქართული ლიტერატურა“. მოცულობა არა უმეტეს 18 თაბახისა.

2. სახელმძღვანელო უნდა ეფდგეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების საფუძველზე.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ცალკეულ ავტორებს, ისე ავტორთა კოლექტივებს.

4. საკონკურსო ნაშრომის ხელნაწერი წარმოდგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად სტანდარტული ზომის ფურცლის (A4 სტრიქონი) ცალ გვერდზე 2 ინტერვალის დაშორებით დაბეჭდილ; აძგაარად დაბეჭდილი 24 გვერდი შეადგენს ერთ საავტორო თაბახს.

5. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 4 პრემია:
ერთი პირველი პრემია — 1000 მანეთი;
ერთი მეორე პრემია — 800 მანეთი;
ერთი მესამე პრემია — 500 მანეთი;
ერთი წაქეზებლისებური პრემია — 300 მანეთი;
დასაბეჭდად მოწოდებული სახელმძღვანელოს ავტორს (ავტორთა კოლექტივს) პრემიის გარდა მიეცემა შესაბამისი ჰონორარი.
საკონკურსო სახელმძღვანელოების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1977 წლის 15 ნოემბერი.

6. საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოს სატიტულო გვერდზე უნდა ჰქონდეს წარწერა — დეფიზი. იგივე დეფიზი დაიწერება დახურულ პაკეტს, რომელიც დაერთვება ხელნაწერს, პაკეტში ჩაიწერება ცხობები — ავტორის (ავტორთა კოლექტივის წევრების) შესახებ (გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია, სამუშაოს ადგილი, თანამდებობა, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, საცხოვრებელი ადგილის მისამართი).

საკონკურსო სახელმძღვანელოები წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველოში (თბილისი, 380018, რუსთაველის 8, მთავრობის სახლი, განათლების სამინისტრო, VI სართული, 47-ე ოთახი).

მომდერალი ჯარისკაცებთან

საკავშირო და რესპუბლიკის კონკურსების ლაურეატის, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის სოლისტის გელა ქოქიაშვილის ხელოვნებას კარგად იცნობენ ვოკალური ხელოვნების მოტრფიალენი. მომდერალი ხშირად მართავს სამეფო კონცერტებს საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ამას წინათ მომღერალმა სოლო კონცერტი გამართა თბილისის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. კონცერტის პროგრამაში იყო როგორც კლასიკოს კომპოზიტორთა, ისე ხალხური და საბჭოთა კომპოზიტორთა პოპულარული მელოდიები. მომღერალს გადაეცა საპატიო სიგელი, რომელსაც ნაწილის უფროსი აწერს ხელს.

უახლოეს ხანებში — ამბობს გ. ქოქიაშვილი, — განზრახული მაქვს გავმართო ქართველ კომპოზიტორთა რომანსების საღამო, რომლის შემოსავალიც მშვიდობის ფონდში გადაირიცხება.

დამატებითი მატარებლები

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტის დღესასწაულს წლიულ სამდღიანი დასვენება დაემთხვა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გაითვალისწინა ეს და მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის დამატებითი მატარებლები დანიშნა. 5 მარტს 18 საათზე თბილისიდან გავა მატარებელი თბილისი-გაგრა, რომელიც გაგრიდან დაბრუნდება 8 მარტს 21 საათსა და 02 წუთზე; 5 მარტსავე ერთი დამატებითი მატარებელი ბათუმისაკენ გავა 0 საათსა და 40 წუთზე, მეორე კი თბილისიდან გავა 19 საათსა და 40 წუთზე. ორივე შემადგენლობა 8 მარტს ბათუმიდან დაბრუნდება 20 ს. და 57 წ. და 17 საათსა და 25 წუთზე. დანიშნულია აგრეთვე დამატებითი მატარებელი თბილისი-ქუთაისი-ცხაკაია, რომელიც თბილისიდან გავა 0 საათსა და 10 წუთზე. 8 მარტს იგი ქუთაისიდან დაბრუნდება 21 საათსა და 18 წუთზე, ხოლო ცხაკაიადან 21 საათსა და 16 წუთზე.

შორი მიმოსვლის დამატებითი მატარებელი თბილისი-მოსკოვი (№168/167) თბილისიდან გავა ყოველ პარასკევსა და კვირადღეს.

ნ. ტატიშვილი.

„საბჭოთა მედიცინა“ №1

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ჩვენი უპირველესი ამოცანაა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „თეორიული და პრაქტიკული მედიცინა“, „შემთხვევები პრაქტიკიდან“; „სოციალური კიბერნეტიკა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია“; „ჩვენი კალენდარი“; „რეპერტუარი“; „ჩვენი ინტერვიუ“; „დისკუსია“; „წერილები და კორესპონდენციები“; „ქრონიკა და ინფორმაცია“, სადაც გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები თანამედროვე მედიცინის აქტუალურ საკითხებზე.

„ქრონიკისა და ინფორმაციის“ განყოფილებაში დაბეჭდილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ.

ეკრანი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, მთებში — თოვლი, იქროლებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 8-13, მთებში 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვლადი მოღრუბლულობა. მოსალოდნელი, დასავლეთ რაიონებში მცირე ნალექი იქნება, მტკვრის ხეობაში იქროლებს ძლიერი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 3-6 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს წამში 12-18 მეტრი სიძლიერის ჩრდილოდასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 12-14 გრადუსი სითბო.

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირები

ბაღრაკინი მსოფლიო ისტორიის სახელგანთქმულ „ოქროს სერიაში“ შესულ წიგნში ბორის სპასკის შესახებ, რომელიც ჰამბურგში გამოიცა, თვითონ მსოფლიოს მეათე ჩემპიონი ასე ამბობს თავის წარმოშობაზე: „მამაჩემი ვასილ გლადიმერის-ძე სპასკი, პროფესიით მშენებელი ინჟინერი, კურსკის მახრამი დაიბადა მღვდლის ოჯახში. დედა — ეკატერინე პეტრეს ასული პეტროვა პსკოვის გუბერნიის გლეხის ქალია“.

ბორისს ის-ის იყო ოთხი წელი შეუსრულდა, ომი რომ დაიწყო. უფროს ძმასთან გიორგისთან ერთად მრავალრიცხოვან ლენინგრადელ ბავშვთა შორის იგი ბლოკირებული ქალაქიდან კიროვის ოლქში წაიყვანეს, იგი სასწაულებრივად გადარჩა ამ მგზავრობის დროს, ფაშისტი სვავები ბომბავდნენ ბავშვებიან ეშელონებს. იმ დღეს ლენინგრადიდან სამი ასეთი შემადგენლობა გავიდა ზედიზედ. პირველი ბომბებმა ნამსხვრევებად აქციეს. ასევე მესამეც. გადარჩა მხოლოდ მეორე, რომლით მგზავრობა ბედმა პატარა ბორისს არგუნა. მას კარგად ახსოვს ის საშინელი ღამე, როცა ლაანდაგის მარჯვნივ და მარცხნივ სკდებოდა ბომბები და პაწია მგზავრებს დასაჯდომ მერხებს ქვეშ მალავდნენ, თითქოს პირდაპირი მოზვედრის დროს ამას შეეძლო მათი გადარჩენა.

... როგორც იქნა დაწყნარდა ზეცა და ერთადერთმა გადარჩენილმა ბავშვებმა ... ლენინგრადის უნივერსიტეტში სწავლის დროს მან არაჩვეულებრივი ნიჭი გამოიჩინა... სიმაღლეზე ხტომაში. მას თვით მაშინდელი მსოფლიოს რეკორდსმენი იური სტეპანოვი წვრთნიდა და კატეგორიულად მოითხოვდა დიუყოვნებლივ დაენებებინა თავი ჭადრაკისათვის და მთლიანად მძლეოსნობისთვის მიეკიდა ხელი. უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, სპასკიმ ჟურნალისტის დიპლომი მიიღო, მაგრამ არც ჟურნალისტი გამხდარა. განა იმიტომ, რომ ნიჭი არ ჰქონდა, უბრალოდ არც პირველ და არც მეორე შემოხვევაში არ მოინდომა.

ჭადრაკის გვირგვინი მან მხოლოდ 1969 წელს დაიდგა. და სამი წლის შემდეგ დაკარგა. რატომ დამუხრუჭდა ასე მისი გზა „ტიტისაკენ“, რატომ დაკარგა იგი პირველსავე მომდევნო მატჩში? სადღაც არის საერთო მიზეზები. ერთ-ერთი მათგანი არაეთვალის ... ...